



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 30

2014 წ. "20" 11

ქ.თბილისი

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204909858) 2014 წლის 17 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №10 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე

| აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
|---|---|--|
| ბაკალავრიატი | 1. ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი. 2. ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია. | 1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 2. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი |
| მაგისტრატურა | 1. ჯანდაცვის მენეჯმენტი. 2. ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია. | 1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 2. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი |
| ერთსაფეხურიანი | 1. სტომატოლოგია. 2. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა. 3. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისურენოვანი) | 1. დიპლომირებული სტომატოლოგი 2. დიპლომირებული მედიკოსი 3. დიპლომირებული მედიკოსი |

| № | პროგრამის დასახელება | კრედიტების რაოდენობა |
|----|--|----------------------|
| 1. | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა | 60 |